წ ე ს დ ე ბ ა

საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ

თბილისი
2024

სარჩევი

საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ....1

პრეამბულა....5

თავი I. ზოგადი დებულებები....6

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო....6

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი....6

მუხლი 3. უნივერსიტეტის სიმბოლიკა....6

მუხლი 4. საუნივერსიტეტო დღესასწაული....6

მუხლი 5. წესდების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლები....6

მუხლი 6. ტერმინთა განმარტებები....6

თავი II. უნივერსიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა....8

მუხლი 7. უნივერსიტეტი....8

მუხლი 8. უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციები....8

მუხლი 9. პასუხისმგებლობა....9

თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა....9

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები....9

მუხლი 11. მართვის პრინციპები....9

მუხლი 12. უნივერსიტეტის რექტორი....9

მუხლი 13. რექტორის უფლებამოსილება....9

მუხლი 14. პასუხისმგებლობა....11

მუხლი 15. უნივერსიტეტის კანცლერი და რექტორის მოადგილე....11

მუხლი 16. აკადემიური კომიტეტი....11

მუხლი 17. აკადემიური სკოლები....11

მუხლი 18. სკოლის ძირითადი ფუნქციები....12

მუხლი 19. პასუხისმგებლობა....12

მუხლი 20. სკოლის მართვა და სტრუქტურა....12

მუხლი 21. სკოლის დეკანი....12

მუხლი 22. დეკანის დანიშვნა....12

მუხლი 23. დეკანის უფლებამოსილება....13

მუხლი 24. პასუხისმგებლობა....14

მუხლი 25. დეკანის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები:....14

მუხლი 26. სადისერტაციო საბჭო....14

თავი IV. ადამიანური რესურსი....14

მუხლი 27. უნივერსიტეტის პერსონალი....14

მუხლი 28. აკადემიური პერსონალი....15

მუხლი 29. ფორმალური მოთხოვნები....15

მუხლი 30. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები....16

მუხლი 31. პასუხისმგებლობა 17
მუხლი 32. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი 17
მუხლი 33. საპატიო თანამდებობები და წოდებები 17
მუხლი 34. ემერიტუსი 17
მუხლი 35. საპატიო დოქტორი 18
მუხლი 36. საპატიო პროფესორი 18
მუხლი 37. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სხვა პერსონალი 18
მუხლი 38. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი 19
მუხლი 39. შრომითი ურთიერთობა 19
მუხლი 40. შრომითი ურთიერთობის დაწყება და შეწყვეტა 19
მუხლი 41. თანამდებობების შეთავსება 20
მუხლი 42. სტუდენტობა 20
მუხლი 43. სტუდენტის უფლებები 20
მუხლი 44. სტუდენტის პასუხისმგებლობა 21
მუხლი 45. სტუდენტის მხარდაჭერა 21
მუხლი 46. სამართლებრივი ურთიერთობა სტუდენტებთან 22
თავი V. სასწავლო-მატერიალური, კვლევითი და ფინანსური რესურსები 22
მუხლი 47. სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსი 22
მუხლი 48. ფინანსური რესურსი 22
თავი VI. სწავლა-სწავლება და შეფასება 23
მუხლი 49. სწავლა და სწავლება 23
მუხლი 50. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა ECTS 23
მუხლი 51. საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა 23
მუხლი 52. ბაკალავრის საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა 24
მუხლი 53. სამაგისტრო საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა 24
მუხლი 54. დოქტორის საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა 24
მუხლი 55. დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა 24
მუხლი 56. რეზიდენტურის პროგრამა 24
მუხლი 57. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 24
მუხლი 58. მოკლე ციკლის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა 25
მუხლი 59. სწავლის შედეგების შეფასება 25
მუხლი 60. შეფასების მიზანი და პრინციპები 25
მუხლი 61. შეფასების სტრუქტურა 26
თავი VII. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა 26
მუხლი 62. ხარისხის უზრუნველყოფა 26
მუხლი 63. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები 26
მუხლი 64. ხარისხის უზრუნველყოფა სკოლებში 27
მუხლი 65. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი 27

თავი VIII. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საერთაშრისო ინტეგრაცია 27
მუხლი 66. სამეცნიერო კვლევების მართვა 27
მუხლი 67. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები 27
მუხლი 68. კვლევა და ფინანსები 27
მუხლი 69. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა 28
მუხლი 70. საერთაშორისო ინტეგრაცია 28
თავი IX. დასკვნითი დებულებები 29
მუხლი 71. წესდების ახალი რედაქციის ძალაში შესვლა 29

პრეამბულა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საბაზრო ურთიერთობის სრულუფლებიანი სუბიექტია, რომელიც თავისი არსით საზოგადოებრივ მოთხოვნებზეა ორიენტირებული და ისწრაფვის ევრო-ატლანტიკურ საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში სრული ინტეგრაციისთვის.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წესდების წინამდებარე ვერსია მე-5 რედაქციაა 2003 წლის 25 ივნისს დამტკიცებული დოკუმენტისა. მას საფუძვლად ედო ევროკავშირის პროექტი, რომელიც უნივერსიტეტში განხორციელდა 2001-2003 წლებში და მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო სისტემის სრულ რეფორმირებას.

წესდების მეორე რედაქცია 2006 წლის 8 თებერვალს იქნა დამტკიცებული საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" მოთხოვნათა გათვალისწინებით.

წესდების შემდგომი რედაქციის (მე-3 და მე-4) მიღების აუცილებლობა განაპირობა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის სწრაფი რეფორმირების პროცესში წარმოშობილმა ახალმა ფაქტორებმა. კერძოდ:

ა) საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" გარდამავალი დებულებების ძალაში შესვლა;

ბ) საქართველოს კანონში "უმაღლესი განათლების შესახებ" ცვლილებები;

გ) სახელმწიფო სააკრედიტაციო სტანდარტების მიღება;

დ) საქართველოს კანონის " პროფესიული განათლების შესახებ" მიღება.

წესდების მე-5 რედაქციის მიღება (ბრძანება N 01-05/005. 24.01.2011) განაპირობა უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმირების პროცესმა, ავტორიზაციის სისტემამ, ერთიანი აკრედიტაციის პრინციპების განსაზღვრამ და, აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ამასთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავებამ, რომელშიც სისტემატიზირებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები.

წესდების მე-6 რედაქციის მიღება გამოწვეულია ავტორიზაციის/აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მიღებით, რომლის გათვალისწინება წესდებაში ხელს შეუწყობს ეფექტური საუნივერსიტეტო სტრუქტურის შექმნასა და საქმიანობის წარმართვას. ამავე დროს, უმაღლესი განათლების სფეროს საკანონმდებლო/კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებში განხორციელებული პერიოდული ცვლილებები, კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცება ქმნიდა წინამდებარე წესდების ეტაპობრივი განახლების აუცილებლობას, რაც წესდების ახალ რედაქციაში უფრო კომპაქტურად აისახა.

წინამდებარე წესდება ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ა) **ღიაობა** - გულისხმობს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას კონკრეტულ ეტაპზე, კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით;

ბ) **ბალანსი** - ითვალისწინებს წესდების მოქმედების არეალში მყოფი სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებას;

გ) **სისტემურობა** - წესდების სტრუქტურა სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით;

დ) **მისაწვდომობა** - წესდება ხელმისაწვდომია, როგორც უნივერსიტეტის ყველა სუბიექტისათვის, ისე გარეშე პირთათვის.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

1. ეს წესდება ეყრდნობა კერძო სამართლის იურიდიული პირის - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მისიას, ძირითად ღირებულებებს/პრინციპებს, ადგენს უნივერსიტეტის ზოგად სტრუქტურასა და მართვის სისტემას, აწესრიგებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესს, არეგულირებს უნივერსიტეტის კომპეტენციათა განხორციელების და, ამის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სუბიექტების ფუნქციონირების ზოგად პირობებსა და წესს.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე.
3. წინამდებარე წესდების შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის სტრუქტურის ფარგლებში არსებული ყველა სუბიექტისათვის, ხოლო უნივერსიტეტის მიერ, იურიდიული პირის ფორმით, ორგანიზაციების დაფუძნებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

1. უნივერსიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, მეწარმე სუბიექტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა შპს ***გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.***
3. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: თბილისი, ირინა ენუქიძის #3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ);

მუხლი 3. უნივერსიტეტის სიმბოლიკა

1. უნივერსიტეტს აქვს თავისი გერბი, დროშა და ჰიმნი, რომლებიც გამოხატავს უნივერსიტეტის ერთგულებას კლასიკური საუნივერსიტეტო განათლების პრინციპებისადმი.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო დღესასწაული

1. საუნივერსიტეტო დღესასწაულია 28 ოქტომბერი - ქართული მწერლობის კლასიკოსის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღე.

მუხლი 5. წესდების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლები

1. წესდების ახალი რედაქციის სამართლებრივი საფუძვლებია:
   ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ" და სხვა მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები.
   ბ) საერთაშორისო სამართლებრივი აქტები/კონვენციები. გ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები.

მუხლი 6. ტერმინთა განმარტებები

ამ წესდებაში გამოყენებულ ტერმინებს/ფრაზებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

ა) **სამართლებრივი აქტი** - უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

ბ) **აკადემიური პასუხისმგებლობა** - აკადემიური პერსონალის დამატებითი ორგანიზაციულმეთოდური ფუნქციას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სახვადასხვა

აკადემიური/სამეცნიერო ორგანიზაციული ან მეთოდური ფუნქციის შესრულებას, ან კოლეგიური ორგანოს წევრობას, პროგრამის ხელმძღვანელობას, მეთოდურ-ექსპერტულ საქმიანობას და სხვ.

გ) **აკადემიური სისტემა** - აერთიანებს სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროცესის ყველა იმ ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, რომელიც ემსახურება/ხელს უწყობს გარკვეული აკადემიური დაკვლევითი შედეგის დადგომას;

დ) **დიპლომი** – უნივერსიტეტის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე, უნივერსიტეტის ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) **დიპლომის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და უნივერსიტეტის მიერ მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად, აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სტუდენტის მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მიღებული განათლების შინაარსის და უნივერსიტეტის ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისთვის ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;

ვ) **დოქტორის აკადემიური ხარისხი** – აკადემიური ხარისხი, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება იგულისხმება, როგორც დოქტორის აკადემიური, ისე მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

ზ) **სასწავლო ღონისძიებები** - სასწავლო მოქმედებები (სწავლა/სწავლებისა და შეფასების ფორმე-ბით/მეთოდებით), რომლებიც გამიზნულია სასწავლო კურსის ან პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;

თ) **სასწავლო-მატერიალური რესურსები** - ეს არის:

ფიზიკური რესურსი - იგულისხმება ყველა ის ინვენტარი და ფართი, მათ შორის, დამხმარე, რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის წარმართვას;

ბიბლიოთეკა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსი - იგულისხმება ქსელური კომპიუტერული აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა წიგნადი და ციფრული ფონდებითა და შესაბამისი სერვისით;

ტექნიკურ-ლაბორატორიული რესურსი - იგულისხმება სპეციალური სასწავლო ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის;

ი) **სწავლა-სწავლების პროცესის სუბიექტი** – იგულისხმება უმაღლესი და პროფესიული განათლების სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი, რომლებიც ურთიერთმოქმედებით ქმნიან და წარმართავენ საგანმანათლებლო პროცესს;

კ) **სწავლის შედეგები** - იგულისხმება სტუდენტის მიერ მიღწეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარკვეული დონე, რომელიც მიიღწევა სასწავლო კურსის/საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. შედეგები ფასდება ნიშნით, რომელიც შეესატყვისება შეფასების კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებელს და თავის მხრივ, განსაზღვრავს კრედიტის მიღება-არმიღებას;

ლ) **ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფა** - უნივერსიტეტში სტუდენტის, პერსონალის განვითარებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა, სათანადო მატერიალური და ფსიქოემოციური სივრცის უზრუნველყოფა;

მ) **სასწავლო კომპონენტი** – აკადემიური პროგრამის შემადგენელი სეგმენტი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო დისციპლინის, საკვალიფიკაციო ნაშრომის, პროფესიული პრაქტიკის და ა.შ. სახით;

ნ) **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** - მაგისტრატურის და დოქტორანტურის აკადემიური პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის/დისერტაციის და სხვა სამეცნიერო პროექტის სახით;

ო) **შეფასების კომპონენტი** - შეფასების სისტემის ცალკეული ფორმის ფარგლებში (შუალედური შეფასება, დასკვნითი შეფასება) აერთიანებს შეფასების ერგვაროვან მეთოდების (ესე, პრეზენტაცია, დისკუსია და ა.შ.);

პ) **შრომითი ურთიერთობა** - შრომითი ურთიერთობა არის ორგანიზაციული მოწე- სრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ;

ჟ) **შრომითი ურთიერთობის სუბიექტები** - შრომითი ურთიერთობის პროცესში მონაწილე სუბიექტები - დამსაქმებელი (უნივერსიტეტი) და დასაქმებული (უნივერსიტეტის პერსონალი);

რ) **ცოდნა** - არის შეხედულებებისა და მოვლენების სისტემატიზირებული რიგი გამოხატული კონცეპტუალურ ნიშანთა სისტემით, რომლის აკუმულირებას და გენერაციას ახდენს უნივერსიტეტი.

თავი II. უნივერსიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა

მუხლი 7. უნივერსიტეტი

1. უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი და საზოგადოებრივი სერვისის განმახორციელებელი დაწესებულება, ორგანიზებას უწევს არა მარტო სწავლების პროცესს, არამედ სწავლისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ახდენს მათ ინტეგრაციას, ეწევა მოსახლეობის მომსახურებას საკუთარი ინტელექტუალური რესურსის გამოყენებით.

მუხლი 8. უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციები

1. უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, განსაზღვრავს მართვის პრინციპებსა და სტრუქტურას; ქმნის აკადემიურ პროგრამებს, ბოლონიის პროცესის რეკომენდაციების შესაბამისად, შეიმუშავებს სწავლა/სწავლებისა და შეფასების ერთიან სისტემას; აყალიბებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და აკადემიურ/ადმინისტრირების პროცესში მონაწილე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სტრატეგიას, უზრუნველყოფს მის განხორციელებას; ქმნის სწავლა/სწავლების, კვლევის და პრაქტიკის ჰარმონიზაციისათვის საჭირო პირობებს; უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის აკადემიურ და კვლევით თავისუფლებას.

2. უნივერსიტეტი განსაზღვრავს ევრო-ატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პოლიტიკას, ატარებს ქმედით ღონისძიებებს ამ პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მათ შორის, განახორციელებს უცხოეთის საგანმანათლებლო ცენტრების წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, საგანმანათლებლო პროგრამების დელეგირებული ნაწილის სწავლების ჩათვლით.

3. განახორციელებს აქტივობას საზოგადოების კეთილდღეობის ხელშესაწყობად, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად - წონადი წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნის გაზიარებაში, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.

4. უზრუნველყოფს შიდა და საგარეო შრომის ბაზრისთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შეთავაზებას.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

1. უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს დემოკრატიულ-ლიბერალური ღირებულებებისადმი ერთგული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელებაზე.

თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებია: აკადემიური სკოლები, ბიბლიოთეკა, კლინიკები, ბათუმის წარმომადგენლობა, სადაც ხორციელდება ის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს მიღება ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე.
2. კვლევითი სტრუქტურული ერთეულებია: კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები, კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც შეიძლება გაერთიანებული იყოს სკოლების შემადგენლობაში.
3. დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაციული აპარატი, რომელშიც შედის ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის.
4. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება ამ წესდებით და ცალკეულისამართლებრივი აქტებით.

მუხლი 11. მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოებისა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა ღიაობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა მართვის პროცესში;
4. არჩევითობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;
5. თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.

მუხლი 12. უნივერსიტეტის რექტორი

1. საქართველოს კანონის `მეწარმეთა შესახებ" საფუძველზე, შპს `გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილება, მისი ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით, აქვს საზოგადოების დირექტორს (რექტორს).
2. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების განხორციელება შესაძლებელია, როგორც ერთი პარტნიორის, ისე სხვა პირის მიერ, დირექტორად დანიშვნის შემთხვევაში.

მუხლი 13. რექტორის უფლებამოსილება

1. რექტორი წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივ თუ ოფიციალურ წრეებში.
2. რექტორი ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესრულებას, განაგებს მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას, განსაზღვრავს

ფინანსურ პოლიტიკას, უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები/შეთანხმებები.

3. გამოსცემს სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, თანამშრომლისა და სტუდენტისათვის. ამტკიცებს უნივერსიტეტის წესდებას საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ, შეაქვს ცვლილებები/დამატებები ამტკიცებს უნივერსიტეტის მისიას, საზოგადოებრივ მოთხოვნებთან/ ქვეყნისგანვითარების ტენდენციებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ, შეაქვს დამატებები/ცვლილებები საყოველთაო განხილვის საფუძველზე. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას და საშტატო ნომენკლატურას.

4. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს საერთაშორისო, კვლევითი და პროფესიული განვითარების პროგრამებს.

5. ქმნის აკადემიურ კომიტეტს, უნივერსიტეტის მართვის პროცესში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის მიზნით. ქმნის და აუქმებს უნივერსიტეტის სტრუქტურულ დანაყოფებს/ერთეულებს, ამტკიცებს შესაბამის დებულებებს

6. ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული დანაყოფების/ერთეულების ხელმძღ- ვანელებსა და თანამშრომლებს, არეგულირებს მათთან შრომით ურთიერთობებს.

7. სტიმულს აძლევს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და თანამშრომელთა ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფას, მათ სოციალურ მხარდაჭერას.

8. ქმნის და აუქმებს დროებით და მუდმივმოქმედ კომისიებს.

9. ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულებს.

10. მართავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პოლიტიკას, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების პროცესს. ამტკიცებს საატესტაციო/საკვალიფიკაციო ორგანოს დებულებას. ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი, ასევე სხვა პროცედურული საკითხები

11. გასცემს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს - დიპლომს.

12. გასცემს დამატებითი განათლების დამადასტურებულ დოკუმენტებს.

13. გასცემს საპატიო წოდებებისა და აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

14. განსაკუთრებულ შემთხვევაში ან ოპერატიულობის უზრუნველყოფის მიზნით რექტორს შეუძლია მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც მის რწმუნებას/უფლებამოსილებას აღემატება, მაგრამ იგი მოვალეა, უმოკლეს დროში, დამფუძნებელთა საბჭოს მოახსენოს საქმის გარემოებისა და თავისი გადაწყვეტილებების შესახებ.

15. მართვის სისტემის ეფექტურობის მიზნით, რექტორს შეუძლია შექმნას კოლეგიური ორგანოები სხვადასხვა ფუნქციით, რომელთა შექმნა და საქმიანობის წესი განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

16. რექტორი სისტემატურ კონსულტაციებს ატარებს უნივერსიტეტში არსებულ სა- ზოადოებრივ ორგანიზაციებთან/სტუდენტურ თვითმმართველობასთან, რაც არ ნიშნავს ამ ორგანიზაციების მიერ დასმული წინადადებების უცილობლად მიღებას.

17. რექტორი მუდმივად ზრუნავს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის, საჭირო პირობებს ქმნის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მისაღებ კონტინგენტს, სკოლების მიხედვით, სწავლის საზღაურთან ერთად.

18. რექტორის სხვა უფლებამოსილებითი საკითხები რეგულირდება ცალკე სამართლებრივი აქტებით ამ წესდებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.
19. რექტორი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

1. რექტორი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულ რეალიზაციასა და სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისთვის, უნივერსიტეტის სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისთვის მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 15. უნივერსიტეტის კანცლერი და რექტორის მოადგილე

1. კანცლერი – ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; არის ადმინისტრაციული არა არჩევითი თანამდებობა, კანცლერის თანამდებობაზე დანიშვნა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა ხორციელდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
2. რექტორის მოადგილე არის ადმინისტრაციული არა არჩევითი თანამდებობა, რომლის ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება 65 წლამდე, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
3. მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში შეიძლება იყოს რექტორის რამდენიმე მოადგილე, მიმართულებების მიხედვით, რომელთა უფლებამოსილება განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 16. აკადემიური კომიტეტი

1. უნივერსიტეტის მართვის პროცესში აკადემიური თანამდებობის პირთა და სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფისა და პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით იქმნება აკადემიური კომიტეტი.
2. აკადემიური კომიტეტის შემადგენლობა და დებულება მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
3. კომიტეტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.
4. აკადემიური კომიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 და მიიღოს გადაწყვეტილება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
5. კომიტეტის სხდომების მოწვევა ხდება საჭიროების შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით ან კომიტეტის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით.
6. კომიტეტისსხდომაზე განსახილველი საკითხების ინიცირება შეუძლიათ რექტორს,

   კომიტეტის ცალკეულ წევრებს, უნივერსიტეტის სამსახურებს, სკოლებს, სტუდენტთა ჯგუფებს.
7. აკადემიურ კომიტეტს შეუძლია შეიმუშაოს ან/და განიხილოს უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები, მოიწონოს ან მოითხოვოს კორიქტირება საგანმანათლებლო პროგრამებში, იმსჯელოს ეთიკის ან სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც საჭიროებს კოლეგიურ შეთანხმებას.
8. კომიტეტს უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერს/ საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებული დამსახურებისთვის, მიანიჭოს საპატიო წოდება - საპატიო დოქტორი ან საპატიო პროფესორი.

მუხლი 17. აკადემიური სკოლები

1. აკადემიური სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უშუალოდ განახორციელებს სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით პროცესს, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში

მუხლი 18. სკოლის ძირითადი ფუნქციები

1. სკოლაში იქმნება და ხორციელდება აკადემიური პროგრამები, რომელიც ემყარება უნივერსიტეტის მისიას, ღირებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს.
2. სკოლა აყალიბებს პროფესორ-მასწავლებელთა საკუთარ კორპუსს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას.
3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლა ქმნის ყველა პირობას სტუდენტთა აკადემიური და პერსონალური განვითარებისათვის.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა

1. სკოლის პირდაპირი პასუხისმგებლობაა სტუდენტთა მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნითა და დარგობრივი/ზოგადი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, აკადემიური პროგრამების სრულად განხორციელება.

მუხლი 20. სკოლის მართვა და სტრუქტურა

1. სკოლის მართავს დეკანი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილე;
2. ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც ითვლება, აგრეთვე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლად. ეს ფუნქცია შეიძლება შეეთავსოს დეკანის მოადგილეს;
3. სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:
   ა) აკადემიური მიმართულება აერთიანებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით:
   ბაკალავრიატი
   მაგისტრატურა
   დოქტორანტურა
   პროფესიული
   ბ) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება აერთიანებს:
   სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებს, რომლებიც კოორდინაციას უწევენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აკადემიური სკოლის ფარგლებში.
   გ) სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულება გულისხმობს:
   სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის შესახებ ადმინისტრაციის წინაშე საკითხების დასმას; სტუდენტთა აკადემიური/სამეცნიერო კონსულტირების ორგანიზებას; შესაბამისი სასწავლო-მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას; სტუდენტთა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობის მხარდაჭერას და სხვ.

მუხლი 21. სკოლის დეკანი

1. დეკანი არის სკოლის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელიც მართავს სკოლის ფარგლებში სასწავლო-სამეცნიერო პროცესს და აკადემიური/შრომითი დისციპლინის საკითხებს.

მუხლი 22. დეკანის დანიშვნა

1. დეკანი ინიშნება რექტორის მიერ კონკურსის საფუძველზე ან მის გარეშე.
2. დეკანის კვალიფიკაცია განისაზღვრება აკადემიური დოქტორის, ცალკეულ შემთხვევაში, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხით.
3. დეკანის ასაკის ზედა ზღვარი განსაზღვრულია 65 წლამდე, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.

4. ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება, დეკანს ავტომატურად უგრძელდება უფლებამოსილების პერიოდი.

მუხლი 23. დეკანის უფლებამოსილება

დეკანი:

1. მოქმედებს სკოლის სახელით, ხელს უწყობს სწავლა/სწავლების ერთიან პროცესად ჩამოყალიბებას და განვითარებას - ქმნის საჭირო პირობებს აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფისათვის.
2. ორგანიზაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელების/სამეცნიერო და სხვა სტრუქტურული ერთეულების (სკოლის ფარგლებში) ხელმძღვანელების შერჩევას და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
3. სკოლის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტს განსახილველად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს.
4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.
5. აღძრავს შუამდგომლობას რექტორის წინაშე ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნის, საშტატო ერთეულების დამატების ან გაუქმების, მატერიალური რესურსის შევსების, ან ჩამოწერის შესახებ. პასუხს აგებს სკოლის უძრავ-მოძრავი ქონების ხარისხის შენარჩუნებაზე.
6. უშუალოდ მონაწილეობს კვალიფიციური კადრების შერჩევისა და მოზიდვის პროცესში. ამ მიზნით შეიმუშავებს და განახორციელებს მიზნობრივ ღონისძიებებს.
7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეარჩევს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის კანდიდატურას.
8. დეკანს უშუალოდ ევალება, სკოლის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფა/მართვა.
9. დეკანს შეიძლება შეეთავსოს აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელობა, როგორც დამატებითი აკადემიური ფუნქცია.
10. დეკანი ყოველ მხრივ უწყობს ხელს სტუდენტის აკადემიურ პროგრესსა და პიროვნულ განვითარებას.
11. ზრუნავს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალურ მხარდაჭერისთვის.
12. თვალყურს ადევნებს სტუდენტთა სარეიტინგო მონაცემებს, მართავს ინდივიუალურ აუდიენციებს სტუდენტებთან.
13. სტუდენტთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც წესი, დეკანი სტუდენტის სა- სარგებლოდ წყვეტს, თუ ეს აღმზრდელობითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია და არ ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო პოლიტიკას.
14. ხელს უწყობს რა სწავლისა და სწავლების ერთიან პროცესად განვითარებას,დეკანი ქმნის საჭირო პირობებს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პროფესიული განვითარებისათვის, აგრეთვე, სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლისა და გუნდური მუშაობისათვის.
15. სტუდენტთა და თანამშრომელთა აქტივობის ამაღლების მიზნით, შეიმუშავებს მათი წახალისებისა და სტიმულირების ფორმებს.
16. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში დეკანი საკითხს აყენებს რექტორის წინაშე.
17. დეკანს შეუძლია ექსტრემალურ პირობებში მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მის რწმუნებებს აღემატება, მაგრამ, ამავდროულად, იგი მოვალეა ოპერატიულად- მოახსენოს პირადად რექტორს საქმის ვითარების შესახებ, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს ამ უკანასკნელის არასამუშაო დროით სარგებლობა.

მუხლი 24. პასუხისმგებლობა

1. დეკანი, საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო-კვლევითი პოლიტიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სკოლის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების, აკადემიური პროგრამების სრულ განხორციელებასა, და, მთლიანად, მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

მუხლი 25. დეკანის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები:

1. პირადი სურვილი/განცხადება;
2. სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
3. გარდაცვალება;
4. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ და შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
5. 65 წლის ასაკის მიღწევა, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება;
6. უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა;
7. სტუდენტთა ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დეკანი ან სკოლის საქმიანობის არგუმენტირებული უარყოფითი შეფასება;
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 26. სადისერტაციო საბჭო

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შედგენის, მისი თავმჯდომარის არჩევის და საქმიანობის/ფუნქციონირების წესი განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დებულებით – „საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. საუნივერსიტეტო საბჭოში, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, შესაძლებელია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირის მოწვევა.
4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

თავი IV. ადამიანური რესურსი

მუხლი 27. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არის ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, უფროსი მასწავლებელი), დამხმარე პერსონალი.

2. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს განეკუთვნება: რექტორი, კანცლერი, რექტორის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

3. ადმინისტრაციული აპარატი მოიცავს დამხმარე თანამდებობებს: სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი, კოორდინატორი, სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, უფროსი ლაბორანტი, ოფისის მენეჯერი და სხვა თანამდებობები, რომელიც განისაზღვრება საშტატო ნომენკლატურით/განრიგით და ხელს უწყობს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას.

მუხლი 28. აკადემიური პერსონალი

1. აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის აკადემიური იერარქიის ძირითადი რგოლია, რომელიც აერთიანებს შემდეგ აკადემიურ თანამდებობებს – პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი და ასისტენტი.

2. აკადემიური თანამდებობა გულისხმობს პირის აკადემიური და მეცნიერული მიღწევების აღიარებას და გამორჩეულ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი ამოცანების განხორციელების საქმეში.

3. აკადემიური თანამდებობის პირმა, შეიძლება უნივერსიტეტთან დადოს შეთანხმება აფილირების თაობაზე, რითაც იგი საკუთარ თავს თვლის აფილირებულად გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან და იღებს ვალდებულებას აქ გაწიოს ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა: მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა კონსულტირების, სამეცნიერო ხელმძღვანელობისა თუ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო მიღწეული შედეგები, საზოგდოებას წარუდგინოს სწორედ ამ უნივერსიტეტის სახელით, ისე, როგორც სხვა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო აქტივობა, საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით, განახორციელოს მისი ეგიდით;

მუხლი 29. ფორმალური მოთხოვნები

1. პროფესორი – შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებით, რომელიც აირჩევა 7 წლის ვადით.

2. განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევებისათვის, პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება უვადოდ იქნას არჩეული (კრიტერიუმები დგინდება ცალკე სამართლებრივი აქტით, ექსპერტული გამოკითხვის საფუძველზე). ამ შემთხვევაში პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას, რომლის ჩატარების წესი და კრიტერიუმები მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

3. ასოცირებული პროფესორი - შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებით, რომელიც აირჩევა 7 წლის ვადით.

4. ასისტენტ-პროფესორი – შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 4 წლის ვადით.
5. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 წლის ვადით.
6. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავება, ღია კონკურსის წესით, შესაძლებელია, ასევე, პროფესიული ნიშნით, პირის მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

7. პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც შესაბამის დარგში/სფეროში აღიარებულია წამყვან სპეციალისტად და აქვს მუშაობის,

არანაკლებ, 6 წლის გამოცდილება, ასოცირებულ პროფესორად - პროფესიულ სფეროში მუშაობის, არანაკლებ, 4 წლის გამოცდილება, ხოლო ასისტენტ-პროფესორად - შესაბამის დარგში/სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. სამივე შემთხვევაში მათი კვალიფიკაცია დასტურდება სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. ასისტენტად შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარში/სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

8. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს. ასისტენტი, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით, ახორციელებს სასემინარო/პრაქტიკულ და კვლევით სამუშაოებს სასწავლო პროცესის ფარგლებში.

9. პროფესორთა შემადგენლობაში შესაძლებელია იყოს პირი, სტიპენდიანტი პროფესორის სტატუსით, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს უნივერსიტეტის, საერთაშორისო ან სხვა საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი.

10. უნივერსიტეტში სტიპენდიანტი პროფესორის მუშაობის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები.

11. კონკრეტული საგანმანათლებლო ან კვლევითი პროგრამის განხორციელებისთვის შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი "მოწვეული პროფესორის" სტატუსით, მაგრამ იგი არ ჩაითვლება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში.

12. სამუშაო პერიოდის ამოწურვის შემდეგ მოწვეული პროფესორისა და სტიპენდიანტი პროფესორის სტატუსი ძალადაკარგულად ითვლება, მაგრამ შესაძლებელია განხილულ იქნას მათი საპატიო პროფესორად/დოქტორად არჩევის საკითხი.

13. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება აირჩიეს უცხოელი მოქალაქე ან უცხოეთში მცხოვრები პირი, დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხით, რომელიც უნივერსიტეტში პერიოდულად ახორციელებს ვიზიტს სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად (ინტენსიური კურსის, ბლოკ-სემინარის წაყვანა) ან ადგილზე, უნივერსიტეტის სახელით, განახორციელებს კვლევით საქმიანობას, დოქტორანტის ან მაგისტრანტის ხელმძღვანელობას, ნაშრომის რეცენზირებას/შეფასებას და სხვ.

მუხლი 30. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

აკადემიური პერსონალი მონაწილეობს/წარმართავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას - მას უფლება აქვს:

1. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

3. ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს სასწავლო და კვლევითი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

4. მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროგრამებსა და სხვა სახის პროექტებში, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

5. პროფესორებს გარანტირებული აქვთ შეუვალობა სასაწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელებაში.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

6. დაიცვას უნივერსიტეტის წინამდებარე წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
7. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პოლიტიკით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში, მათ შორის, საზოგადოების განვითარების მიზნებისათვის.
8. შეასრულოს უნივერსიტეტისა და სკოლების მმართველი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
9. დაიცვას პედაგოგიური და კოლეგიური ეთიკის ნორმები.
10. იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და მეცნიერულ ზრდაზე.
11. სასწავლო პროცესში გამოიყენოს თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები.
12. იზრუნოს კვლევის განსაკუთრებული უნარის მქონე სტუდენტთა გამოვლენისა და მათში ამ უნარის გაღრმავებისათვის.
13. შეასრულოს შრომის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღრული ვალდებულებები.
14. აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა და სხვა უფლებამოსილებითი საკითხები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 31. პასუხისმგებლობა

1. აკადემიური პერსონალი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სრულად არის პასუხისმგებელი კონკრეტული სასწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელების ხარისხსა და ეთიკის დაცვაზე.

მუხლი 32. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის პირი აირჩევა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, კონკურსის წესით, გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების საფუძველზე.
2. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდებით და ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ საკონკურსო მოთხოვნებს/კრიტერიუმებს.
3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი და პროცედურა, განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.
4. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალს ნიშნავს რექტორი.
5. სხვა სამუშაოზე, მათ შორის, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში, პირს პროფესორის აკადემიური თანამდებობა არ უნარჩუნდება.

მუხლი 33. საპატიო თანამდებობები და წოდებები

საპატიო აკადემიური წოდებები და თანამდებობებია:

ა) ემერიტუსი;

ბ) საპატიო დოქტორი;

გ) საპატიო პროფესორი.

მუხლი 34. ემერიტუსი

1. ემერიტუსის წოდება, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიძლება მიენიჭოს პროფესორს, 65 წლის შემდეგ, თუ იგი არის არჩეული აკადემიურ თანამდებობაზე.
2. ემერიტუსს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.

3. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება უვადოდ.

მუხლი 35. საპატიო დოქტორი

1. საპატიო დოქტორის წოდება, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მაღალი საზოგადოებრივი აღიარების ან განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისათვის.
2. საპატიო დოქტორმა, ამ წოდების მინიჭებამდე ან მას შემდეგ, უნივერსიტეტში უნდა წაიკითხოს არანაკლებ ერთი საჯარო ლექცია, საკუთარი მიღწევებისა და დარგობრივ სფეროში არსებული პრობლემატიკის შესახებ.
3. საპატიო დოქტორს, უნივერსიტეტში, არ ეკისრება არავითარი აკადემიური პასუხი- სმგებლობა.

მუხლი 36. საპატიო პროფესორი

1. საპატიო პროფესორად აირჩევა პირი, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით მაღალი საზოგადოებრივი აღიარების ან უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
2. საპატიო პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე.
3. საპატიო პროფესორად არჩევისათვის არა აქვს მნიშვნელობა პირის აკადემიურ ხარისხს.
4. საპატიო პროფესორს, უნივერსიტეტში არ ეკისრება არავითარი აკადემიური პასუხისმგებლობა.
5. საპატიო პროფესორმა გადაწყვეტილების მიღებამდე ან მას შემდეგ უნივერსიტე ში უნდა წაიკითხოს ლექციათა ციკლი ან ერთი საჯარო ლექცია.

მუხლი 37. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის მასწავლებელთა პერსონალი - უფროსი მასწავლებელი, განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს.
2. უფროს მასწავლებლს უნდა ჰქონდეს კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი განათლების დიპლომი, არანაკლებ, ორი წლის სამუშაო გამოცდილება კვალიფიკაციის მიხედვით და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაცია.
3. უფროსი მასწავლებელი მონაწილეობს სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებაში აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით.
4. უფროსი მასწავლებელი ინიშნება უვადოდ, რექტორის ბრძანებით, კონკურსის საფუძველზე ან მის გარეშე.
5. საგანმანათლებო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს მოწვეული პერსონალი, რომელისაც უნდა ჰქონდეს კანონმდებლობით აღიარებული სპეციალისტის უმაღლესი განათლების დიპლომი, დოქტორის აკადემიური ხარისხი, არანაკლებ, ორი წლის სამუშაო გამოცდილება კვალიფიკაციის მიხედვით და უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაცია ან იყოს სხვა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
6. მოწვეული პერსონალის ანაზღაურება განისაზღრება მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, საათობრივად.
7. მოწვეულ პერსონალს არ ევალება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, მაგრამ, უნივერსიტეტს შეუძლია დააფინანსოს მისი კვლევითი პროექტი ან ნებისმიერი სხვა ინიციატივა, აგრეთვე, პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის

მიზნებისთვის შეიძლება მიეცეს პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის რეკომენდაცია.

8. მოწვეულ პერსონალზე ვრცელდება შიდასაუნივერსიტეტო წესები, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესათან, საშემსრულებლო დისციპლინასა და ეთიკის დაცვის საკითხებთან.

მუხლი 38. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი

1. უნივერსიტეტში არის დამხმარე პერსონალი – სამსახურის უფროსი, ცენტრის ხელმძღვანელი, უფროსი ლაბორანტი, კოორდინატორი, სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სკოლის ადმინისტრირების ოფისის მენეჯერი და სხვა თანამდებობები, რომელიც განისაზღვრება საშტატო ნომენკლატურით.
2. დამხმარე პერსონალის მიზანია ხელი შეუწყოს სასწავლო/პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანად წარმართვას.
3. დამხმარე პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი. მისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით/სამუშაო აღწერილობით.
4. დამხმარე თანამდებობის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის მართვის მაღალ ეფექტიანობას, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების მაღალი ხარისხის მიღწევას, სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას.
5. ადმინისტრაციული აპარატის პერსონალის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო ნომენკლატურით, ხოლო ფუნქციური დატვირთვა რეგულირდება ცალკე სამართლებრივი აქტებით/სამუშაოს აღწერილობით.

მუხლი 39. შრომითი ურთიერთობა

1. შრომითი ურთიერთობა, თანამშრომლებთან აიგება შემდეგი პრინციპებით:
   ა) თანასწორუფლებიანობა;
   ბ) ნების თავისუფალი გამოვლენა;
   გ) ურთიერთპატივისცემა და მხარდაჭერა;
   დ) კეთილსინდისიერება.
2. უნივერსიტეტის თანამშრომელებთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით, შრომის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. შრომითიურთიერთობა, უნივერსიტეტის პერსონალთან, რეგულირდება გენერალური შრომითი ხელშეკრულებით, ხოლო მისი განუყოფელი ნაწილი, შემადგენელი ხელშეკრულება იდება არა უმეტეს ერთი სასწავლო წლით (პირობების დაზუსტების, ახალი ფუნქციების დამატების და ა.შ. მიზნით), რომლის ხელმოუწერლობა, შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი სუბიექტის მხრიდან, განიხილება, როგორც საფუძველი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

მუხლი 40. შრომითი ურთიერთობის დაწყება და შეწყვეტა

1. შრომითი ურთიერთობის ათვლა იწყება პირის დანიშვნის დღიდან კონკრეტულ თანამდებობაზე.
2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი პერსონალისათვის შეიძლება გახდეს:
   ა) შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
   ბ) დისციპლინარული გადაცდომა, რომლის სახეები განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით;
   გ) სტუდენტთა მხრიდან არგუმენტირებული, დადასტურებული მოთხოვნა პირთან აკადემიური ურთიერთობის გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ;

დ) სტუდენტების მხრიდან აკადემიური თანამდებობის პირის საქმიანობის უარყოფითად შეფასება.
ე) საქართველოს შრომის კოდექსითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით/შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

მუხლი 41. თანამდებობების შეთავსება

1. უნივერსიტეტის მასშტაბებიდან გამომდინარე, მართვის ოპტიმიზაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ერთ თანამშრომელს შეეთავსოს ორი ან რამდენიმე დამხმარე თანამდებობა, ან დაევალოს ორი, ან რამდენიმე სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელობა, ან სხვა საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება. თანამდებობების შეთავსება განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 42. სტუდენტობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის სწავლისა და სწავლების პროცესის სუბიექტი, რომელიც უნივერსიტეტთან ერთად, თანაზომიერად აგებს პასუხს არჩეული უმაღლესი თუ პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების ხარისხისთვის.
2. უნივერსიტეტში, პირველ საგანმანათლებლო საფეხურზე (ბაკალავრიატი), ჩაირიცხებიან პირები სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით.
3. უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. სამაგისტრო პროგრამებზე ჩაირიცხებიან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების შედეგებით.
5. სადოქტორო პროგრამებზე ჩაირიცხებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.
6. უნივერსიტეტში განათლების მიღება შესაძლებელია პირის მიერ, განურჩევლად ეროვნების, რასის, სქესის, სოციალური მდგომარეობის/ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსისა.
7. სტუდენტის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, დგინდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.

მუხლი 43. სტუდენტის უფლებები

სტუდენტს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა. ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით.
2. აირჩიოს და არჩეულ იქნას სტუდენტურ გაერთიანებებში, აკადემიურ და საუნივერსიტეტო მართვის ორგანოებში.
3. აირჩიოს, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცალკეული სასწავლო დისციპლინები და დამატებითი პროგრამა (გარდა რეგულირებადი პროფესიებისა).
4. დასვას საკითხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების შემუშავებისა და დანერგვისთვის.

5. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში.
6. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საქმიანობისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებაში.
7. სათანადო ეთიკის დაცვით, არგუმენტირებულად დასვას საკითხი ცალკეული პროფესორისა თუ მოწვეული სპეციალისტის შეცვლის შესახებ.
8. გამოავლინოს ინიციატივა და ორგანიზაცია გაუწიოს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და აქციებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის პოლიტიკას და ამ წესდებას.
9. მეორე აკადემიური წლიდან გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისე როგორც სხვა დაწესებულების სტუდენტს შეუძლია გადმოსვლა შესაბამისი კრედიტების ცნობის საფუძველზე, ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში.
10. უნივერსიტეტის ფარგლებში, ნებისმიერ აკადემიურ წელს შეიცვალოს სპეციალობა საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის საფუძველზე.

მუხლი 44. სტუდენტის პასუხისმგებლობა

სტუდენტი ვალდებულია:

1. შეასრულოს მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, პატივი სცეს უნივერსიტეტის ტრადიციებს, გაუფრთხილდეს მის ქონებას.
3. დაესწროს ყველა მეცადინეობას, აქტიურად შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სამუშაო.
4. ისწრაფოს სტუდენტურ კოლექტივში ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შესაქმნელად.

მუხლი 45. სტუდენტის მხარდაჭერა

1. სტუდენტის მიერ გამოვლენილი ინიციატივები და დასმული წინადადებები უნივერსიტეტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია - სწავლობს და ხელს უწყობს მის განხორციელებას.
2. აკადემიური პროგრესის მიღწევისათვის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებთან ინდივიდუალური/საკონსულტაციო მუშაობის საათებს.
3. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტუდენტის სოციალური მხარდაჭერისა და აკადემიური პროგრესის, ზოგადად, მისი განვითარების სტიმულირების პროგრამებს.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის უნივერსიტეტი ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას სტუდენტურ საზოგადოებაში, მისცემს საშუალებას მიიღონ სრულფასოვანი განათლება.
5. უნივერსიტეტი წაახალისებს პროფესორებდ სტუდენტთა ჩართვისათვის საკუთარი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.
6. სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას ხელს უწყობს სტუდენტთა მომსახურების შესაბამისი სამსახური, რომლის კომპეტენცია რეგულირდება ცალკე დებულებით.

მუხლი 46. სამართლებრივი ურთიერთობა სტუდენტებთან

1. სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების ფარგლებში. უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება გენერალური ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედებს სამართლებრივი ურთიერთობის სრულ ამოწურვამდე, ხოლო მისი განუყოფელი ნაწილი, შემადგენელი ხელშეკრულება, შეიძლება დაიდოს ახალი ფაქტორებით გამოწვეული პირობების რეგულირებისათვის.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების დარღვევა, სტუდენტის მხრიდან, განიხილება როგორც საფუძველი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის/შეწყვეტისთვის.
3. ყოველი დისციპლინური გადაცდომა ამ წესდებით, აგრეთვე, სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმებიდან, იწვევს, ადმინისტრაციის მხრიდან, სტუდენტის მიმართ, დისციპლინური ზომების გატარებას, ფინანსური სანქციებისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ჩათვლით.
4. დისციპლინური გადაცდომის სახეები და, შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებები, პროცედურის ჩათვლით, დგინდება „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.
5. დისციპლინური ღონისძიებების გატარების პროცედურის ან შედეგების მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V. სასწავლო-მატერიალური, კვლევითი და ფინანსური რესურსები

მუხლი 47. სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსი

1. უნივერსიტეტის ზრუნვის საგანია სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსების განვითარება.
2. სასწავლო-მატერიალური კვლევითი რესურსები ყალიბდება, როგორც საგანმანათლებლო კვლევითი მიზნების, ისე სტუდენტის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს განახორციელოს, არა მარტო სწავლა-სწავლებისა და კვლევის, არამედ სწავლის ორგანიზაციის ფუნქცია.
3. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსების განვითარებისათვის, ყოველწლიურად, გამოიყოფა ფინანსური სახსრები პრიორიტეტების გათვალისწინებით.

მუხლი 48. ფინანსური რესურსი

1. უნივერსიტეტის ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი.
2. ფინანსური რესურსის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საზღაური, აგრეთვე, სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობით მიღებული თანხები. ამასთან, უნივერსიტეტი მოიზიდავს დამატებით სახსრებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VI. სწავლა-სწავლება და შეფასება

მუხლი 49. სწავლა და სწავლება

1. სწავლა და სწავლება განიხილება ერთიან აკადემიურ პროცესად, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ განხორციელებული სწავლისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სწავლების პროცესს.
2. სწავლა-სწავლების პროცესის მთავარი ღერძია აკადემიური პროგრამა, რომლის მართვა, ძირითადად, ხორციელდება კრედიტებისა და შეფასების სისტემით.

მუხლი 50. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა ECTS

1. სწავლისა და სწავლების პროცესის მართვა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას - ECTS, რომელიც, არსებითად, განსაზღვრავს სტუდენტის სემესტრულ/წლიურ სასწავლო დატვირთვას და სრულ ინფორმაციას იძლევა სტუდენტის კვალიფიკაციასა და მინიჭებული ხარისხის იდენტურობაზე.
2. უნივერსიტეტში სტუდენტის წლიური დატვირთვა 60 კრედიტს ანუ 1500 საათს შეადგენს, სადაც, ერთი კრედიტი 25 სამუშაო საათს უდრის და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი სწავლის დროს.
3. კრედიტის მიღება შესაძლებელია კონკრეტული დისციპლინის სილაბუსით გან- საზღვრული სამუშაოს შესრულებისა და შესაბამისი შეფასების შემდეგ.

მუხლი 51. საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა წარმოადგენს საგანმანათლებლო პარამეტრების, კომპონენტებისა და სასწავლო ღონისძიებათა სერიის ერთობლიობას, რომელიც საკვალიფიკაციო შედეგზეა ორიენტირებული.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კომპონენტია სასწავლო კურსი/დისციპლინა. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც მიკრო სასწავლო პროგრამა, რომლის საინფორმაციო-შემეცნებითი რესურსი სისტემატიზირებულია ერთი ან რამდენიმე საგნის ბაზაზე და გარკვეულ ფუნქციას ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების განხორციელებისათვის.
3. პროგრამები ყალიბდება ყოველი საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკისა და მიზნების გათვალისწინებით.
4. პროგრამა ღია და მოქნილი სისტემაა, რომელმაც შეიძლება გაითვალისწინოს სავალდებულო სასწავლო კურსების მინიმუმი და არჩევით კურსები, როგორც საუნივერსიტეტო, ისე სპეციალიზაციის მოდულებიდან.
5. პროგრამები ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას და, საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში, ინტეგრირებულია ზოგადი პარამეტრებით.
6. აკადემიური პროგრამის ყოველ სასწავლო სემესტრში ფასდება სტუდენტის სწავლის შედეგები. დაგროვილი კრედიტების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტით - დიპლომით, დანართთან ერთად. ეს უკანასკნელისრულ ინფორმაციას შეიცავს მფლობელის მიერ განხორციელებული სწავლის ხარისხის, დონის, კონტექსტის, შინაარსისა და სტატუსის შესახებ და უზრუნველყოფს საერთაშორისო გამჭვირვალობას და აღიარებას.
7. პროგრამის შემუშავების წესებს განსაზღვრავს რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები.

მუხლი 52. ბაკალავრის საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. ბაკალავრიატის, როგორც უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლა-სწავლებას, რაც აუცილებელია მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე - მაგისტრატურში სწავლის გასაგრძელებლად.
2. პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტიან საგანმანათლებლო ციკლს.

მუხლი 53. სამაგისტრო საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. მაგისტრატურა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამების ერთობლიობაა, რომელიც შეიცავს კვლევის ელემენტებს. მისი მიზანია სტუდენტთა მომზადება ბაკალავრის შემდგომი დონის კვალიფიკაციით მუშაობისთვის - მკვლევარად ან სპეციალისტად, უშვებს, აგრეთვე, კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტიან საგანმანათლებლო ციკლს.

მუხლი 54. დოქტორის საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. დოქტორანტურა საუნივერსიტეტო განათლების მესამე საფეხურის პროგრამების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო კადრების მომზადებას.
2. სადოქტორო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლობაა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

მუხლი 55. დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. მედიცინის/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2. დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;
3. უნივერსიტეტი ახორციელებს დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიან და დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

მუხლი 56. რეზიდენტურის პროგრამა

1. რეზიდენტურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლა შესაძლებელია დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის, ხოლო რეზიდენტურის პროგრამის დასრულება, შესაბამისი შედეგებით, იძლევა ექიმად მუშაობისა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.
2. რეზიდენტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 57. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების

გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით და დიპლომის გაცემით.

2. უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების რეგულირდება, ***პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების მარეგულირებელი დებულებით.***

მუხლი 58. მოკლე ციკლის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა:
   ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც, აგრეთვე, გულისხმობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. სტუდენტს ასოცირებული ხარისხი ენიჭება ამ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვებისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველზე.
   ბ) ცალკე საგანმანათლებლო პროგრამის სახით და პროფესიულ სტუდენტს ასოცირებული ხარისხი მიანიჭოს შესაბამისი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად.

მუხლი 59. სწავლის შედეგების შეფასება

1. უნივერსიტეტი შეფასებას განიხილავს, როგორც სწავლის შედეგების ხარისხის იდენტიფიცირებისა და საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემას. ის არ გულისხმობს მხოლოდ ხარისხის იდენტიფიცირების მომენტს, არამედ, მოიცავს მომზადების პროცესს ამ მომენტისათვის და განსაზღვრავს ახალი პედაგოგიური ამოცანის ფორმირებისა და სწავლების სტრატეგიის კორექციის პერსპექტივას, ხოლო სტუდენტისათვის – ახალი შემეცნებითი ტაქტიკის გამომუშავების საფუძველს.

მუხლი 60. შეფასების მიზანი და პრინციპები

1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

2. **გამჭვირვალობის პრინციპი** – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სტუდენტმა წლის დასაწყისშივე უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნისა და უნარების ამა თუ იმ პარამეტრს.

3. **სისტემატურობის პრინციპი** – შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი. ის გეგმაზომიერი პროცესია, რომელიც სწავლა-სწავლების ერთიანი მოტივაციური სისტემას ელემენტია – სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზაობას გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო პროფესორ-მასწავლებლებს – განახორციელონ მონიტორინგი სტუდენტის **ცოდნის შეძენისა და განვითარების პროცესზე.**

4. **სამართლიანობის პრინციპი** – მიდგომა ყველა სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს. თითოეულ სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მისაღწევად.

5. **ოპტიმალურობის პრინციპი** – გულისხმობს შეფასების მეთოდების შერჩევას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონის შესახებ, მაქსიმალურად მცირე დროში; მეორე მხრივ, შეფასების სიხშირე უნდა განისაზღვროს სასწავლო დისციპლინის სპეციფიკისა და ჯგუფის თავისებურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ შემოწმების მაღალმა ინტენსივობამ პასუხისმგებლობის

მქონე სტუდენტებში არ გამოიწვიოს სტრესული მდგომარეობა და, შესაბამისად, შემეცნებითი აქტივობის დაქვეითება, ხოლო დანარჩენებში ინდიფერენტულობის ჩამოყალიბება.

6. **დიფერენცირების პრინციპი** – შეფასების მეთოდები უნდა შეირჩეს აკადემიური პროგრამის დონისა და თითოეულ დონეზე დასახული შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინებით.
7. **სანდოობის პრინციპი** – შეფასება სტანდარტული კრიტერიუმების ფარგლებში უნდა განხორციელდეს და რეალურად ასახოს შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონე.

მუხლი 61. შეფასების სტრუქტურა

1. შეფასების სტრუქტურა, დისციპლინის ფარგლებში, ორ ფორმად იყოფა - შუალედური და დასკვნითი. თითოეულს თავისი პროცენტული წილი აქვს. ფორმა შეიძლება დაიყოს კომპონენტებად (აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს), რომელსაც, აგრეთვე, თავისი პროცენტული წილი აქვს ფორმის ფარგლებში.
2. ყოველი დისციპლინის სემესტრული შეფასება ორივე ფორმის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით.
3. შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურა. კონკრეტული დისციპლინის, სპეციფიკიდან გამომდინარე, სილაბუსში, შესაძლებელია კრიტერიუმების დაზუსტება.
4. შეფასების მინიმალურ შეფასებად ითვლება 51 ქულა.
5. შეფასების გაანგარიშების ალგორითმი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

თავი VII. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

მუხლი 62. ხარისხის უზრუნველყოფა

1. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საზოგადოების განვითარებისათვის განხორციელებული საქმიანობის სისტემატურ მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას.
2. უნივერსიტეტში ხარისხის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურად ითვლება.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს შესაბამისი დებულებით, რომელიც ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის წესდებას საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ.

მუხლი 63. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის წესი/ფუნქციები რეგულირდება უნივერსიტეტის ***ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკით.***
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განახორციელებს აქტივობებს, რომელიც განსაზღრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა და უნივერსიტეტის სტრატეგიით, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და საზოგადოების განვითარებისათვის გაწეული საქმიანობის მაღალი ხარისხის მიღწევას.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას - შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებას.

მუხლი 64. ხარისხის უზრუნველყოფა სკოლებში

1. სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება დეკანს, ხოლო ყოველდღიურ მუშაობას წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც, ამავე დროს, ითვლება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლად, ინიშნება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 65. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით, ხილო ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება არა უმეტეს 75 წლით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს ახალი პროგრამის შემუშავების, კორექტირებისა და განხორციელების პროცესს.
3. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები განისაზღვრება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით.
4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობისთვის შეიძლება შეიქმნას კოლეგიალური ორგანო.

თავი VIII. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საერთაშრისო ინტეგრაცია

მუხლი 66. სამეცნიერო კვლევების მართვა

1. უნივერსიტეტი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის ფარგლებში, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სათანადო პირობების ფორმირებას.
2. სამეცნიერო-კვლევით მუშაობას კოორდინაციას უწევს რექტორის მოადგილე ან უფლებამოსილი პირი.
3. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობისათვის შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო კვლევების მართვის სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 67. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

1. უნივერსიტეტში იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, რომლებიც, შეიძლება ცალკეული სკოლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ.
2. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები შეიძლება შეიქმნას უცხოეთის ფიზიკური ან იურიდიული პირების თანამონაწილეობით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. კვლევითი ორგანიზაციების შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, სკოლების/უფლებამოსილი პირის წარდგენის საფუძველზე.
4. კვლევითი ორგანიზაციების მიზანია:
   ა) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევების განვითარებას;
   ბ) დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს სწავლა-სწავლების ეფექტურობის ამაღლებაში, ლოკალური კვლევების ჩატარებასა თუ საკვალიფიკაციო ნაშრომების შესრულებაში.
5. კვლევითი ორგანიზაციები ანგარიშვალდებული არიან უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/უფლებმოსილი პირის წინაშე.

მუხლი 68. კვლევა და ფინანსები

1. აკადემიური პერსონალის სახელფასო განაკვეთი ფორმირდება როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო დატვირთვის გათვალისწინებით.

2. კვლევითი პროექტების დაფინანსება წყდება ამ წესდების 69-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.
3. უნივერსიტეტმა შეიძლება გამოაცხადოს კონკურსი პროგრამების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.
4. პროექტში, უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ერთად, შეიძლება მონაწილეობდნენ გარეშე პირები და ორგანიზაციები.
5. პროექტების დაფინანსების წყაროა უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი და სხვა, მათ შორის, უცხოური ორგანიზაციებიდან/ფონდებიდან მოზიდული სახსრები.

მუხლი 69. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა

1. სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ინიციატივების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება ფონდი, კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელობით, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით, განსაზღვრული პერიოდით.
2. ფონდის კოლეგიალური ორგანო განიხილავს წარდგენილ პროექტებს და, მოწონების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას მისი დაფინანსების შესახებ, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, აგრეთვე, აყალიბებს კვლევით პროგრამებს (საჭიროების შემთხვევაში) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული რგოლებიდან მიღებული წინადადებების საფუძველზე და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.
3. დაფინანსებისათვის ძირითადი კრიტერიუმია პროექტის აქტუალობა, ეფექტი ან/და დამტკიცებულ პროგრამათა მოთხოვნებთან შესაბამისობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღება ის პროექტებიც, რომელთა პრობლემატიკას არ ითვალისწინებს საკონკურსო პროგრამა. აქტუალობის შემთხვევაში მათი დაფინანსება დასაშვებია.
5. პროექტი შეიძლება იყოს, როგორც სამეცნიერო-კველვითი და მეთოდური, ისე ორგანიზაციულ-შემოქმედებითი.

მუხლი 70. საერთაშორისო ინტეგრაცია

1. ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება შესაბამისი სტრუქტურული რგოლი ან გამოიყოფა რექტორის მოადგილის საშტატო ერთეული საერთაშორისო ინტეგრაციის საკითხებში.
2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამსახური წარმართავს მუშაობას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის აქტიურად ჩართვისათვის, ეწევა მიზნობრივ მუშაობას დოქტორანტთა და აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სივრცის შესაქმნელად და ა.შ.
3. საერთაშორისო ინტეგრაციის სტრუქტურული ერთეული მჭიდროდ თანამშრომლობს სამეცნიერო კვლევების მართვის სტრუქტურულ რგოლთან.
4. საერთაშორისო ინტეგრაციის სტრუქტურული ერთეულის ფუნაციონირებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით.